პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 61 (7622)
29 მარტი,
ხუთშაბათი,
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნომერში:

გამარჯვების შანსი ჰქონდა, მაგრამ...
(1-ლი გვ.)

ოთხი წერილი ერთი სატკივარი
(მე-2 გვ.)

სამბო მერი არ არის
(მე-2 გვ.)

ფეხბურთის დღესასწაული გლდანში
(მე-3 გვ.)

კარლოს ალბერტო პარეირამ დატოვა გუნდი
(მე-4 გვ.)

**„ვის არ ერევის რული,
იგი არს კაცი სრული"**

ადექ, მგლის მუხლი მაიბი...

ადამიანი ამქვეყნად იმისთვისაც მოდის, თავის შემდეგ რაიმე კვალი დატოვოს, რაიმეთი წაადგეს თვისიანებს, სოფელ-ქვეყანას, ხალხს, იმ საქმეს, რომელსაც იგი ემსახურება და მის გარდა სხვა ვერავინ გააკეთებს. იმიტომ კი არა, რომ მისი შემცვლელი არავინ მოიძებნება. არა, მთავარი ისაა, ჩვენზე დაკისრებული საქმე თავად გავაკეთოთ და სხვას არ გადავულოცოთ. ამაში ცნაურდება ადამიანის მაღალი შეგნებაც და ზნეობაც, ამით იცნობა, ანუ საქმით, კაცური კაცი.

მხოლოდ უსაქმურ ადამიანს არა აქვს საქმე. სიტყვების თამაში არ გეგონოთ; უსაქმურს საქმე თავზე საყრელადაც რომ ჰქონდეს, მაინც უსაქმობას უჩივის, საქმე ვერ გამოუსახავს.

ჩვენი სპორტის გასაჭირი მარტო ობიექტური მიზეზებით არ არის გამოწვეული. მნიშვნელოვანი წილი უდევს მის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებში ეგრეთ წოდებულ სუბიექტურ ფაქტორსაც; პირდაპირ ვთქვათ, სპორტის ზოგიერთი მუშაკის უდარდელობასა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იმ საქმისადმი, რომელსაც ხშირად საკავშირო და საერთაშორისო რეზონანსიც აქვს და რომელსაც რესპუბლიკის კეთილი სახელისათვის, სპორტული ღირსებისათვის ხელებდაკაპიწებული შრომა ჰქვია. უსაქმურობას კი ერთი უბედურებაც სჭირს—იგი პესიმიზმის, ხელის ჩაქნევის, უადგილო ქილიკობისა და ირონიის წყაროა. ამიტომ უსაქმური, არაკომპეტენტური სპეციალისტი არც ისე უხიფათო ვინმეა, როგორც ზოგიერთს ჰგონია; მას შეუძლია უიმედობის ატმოსფერო შექმნას თავის გარშემო და იმათაც გადაუწუროს იმედი, ვისაც საქმის კეთება უნდა. ასეთ ხალხს არ სჯერა არც დღევანდელი, არც ხვალინდელი დღისა; ასეთებს, თეიმურაზ ხევისთავისა არ იყოს, ჰგონიათ, რომ ყველაფერი კარგი და პროგრესული წარსულში დარჩა.

არც ერთ დარგში ისე აშკარად არა ჩანს, ვინ რას წარმოადგენს, ვინ რისი გამკეთებელია, ვის შეუძლია ან არ შეუძლია კონკრეტული სარგებლობის მოტანა, როგორც სპორტში. ამიტომაც კიდევ უფრო აუტანელია, უფრო საზიანოა, არაკომპეტენტური ხალხის ტრიალი ამ წმიდა სფეროში, რომლისთვისაც მათ წლიდან წლამდე არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. მეტიც: უსაქმურს ურჩევნია სხვაც უსაქმური იყოს და ამიტომ ნებისმიერ სიახლეს, ინიციატივას, პროგრესულ თაოსნობას ამრეზითა და ირონიანარევი ქილიკით ხვდება, აქაოდა, გადაბრუნებული ურმის ფეხზე დაყენება მოუნდომებიათ — აქედან, წინასწარ ვიცი, არაფერი გამოდნებაო.

სპორტს აქვს ერთი დიდებული თვისება: იგი აფთიაქარის სიზუსტით აღნუსხავს სპორტსმენის, გუნდის შედეგებს და თითოეულს თავის კუთვნილ ადგილს აკუთვნებს. ასეთია სპორტის დაწერილი და დაუწერელი კანონი. ამავე კანონის ძალით უსაქმურ ხალხს არაფერი ესაქმება ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში.

ვყო ამ დიდ ეროვნულ საქმეს, რა ზიანიც მათგან მოუვიდა.

ამას უკვე უქნარების გასაგონად არ ვამბობთ, არამედ იმ ხალხის გასაგონად, ვისაც რაღაც მიზეზის გამო, თუმც დიდადაც შესტკივა გული ჩვენი სპორტის ბედ-იღბალზე, დროებით ხელები ჩამოუშვია, ვის ენთუზიაზმსაც დღეს რატომღაც ობი მოსდებია: ისე ნუ წარმოიდგენენ, თითქოს ჩვენი ფიზკულტურა და სპორტი მარტო უსაქმური და არაკეთილსინდისიერი ადამიანების ასპარეზად იყოს ქცეული. ჩვენ სპორტულ მოძრაობას გულშემატკივრები და შემწეები არ აკლია. ამიტომ, ისევ დროებით იმედდაკარგულთა გასაგონად ვამბობთ: იმედი ნუ დაგიკარგავთ, ხელი გამოიღეთ, იმ უმრავლესობას ამოუდექით მხარში!

ნუ ჩაგვითვლით ამას პათეტიკაში: იმედგაბზარული და იმედდაკარგული პატარა ქვეყანა დღემდე ვერ მოიტანდა თავს.

ასე იტყოდა ჩვენი წინაპარი, როცა იმედდაკარგულ თანამოძმეს დაინახავდა: „ადექ, მგლის მუხლი მაიბი, რამ წაგახდინა, ყაზახო!"



ინფორმაცია

გიორგი მაკალათია და სხვები

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ფრუნზედან, სადაც გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. 81 კგ წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა თბილისელმა სპორტსმენმა გიორგი მაკალათიამ. საპრიზო ადგილზე გავიდა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ რამდენიმე მოჭიდავე (ამ შეჯიბრების შედეგებზე დაწვრილებით მოგითხრობთ „ლელოს" უახლოეს ნომერში).

„კიევური რაპირა"

უკრაინის დედაქალაქში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „კიევური რაპირა", რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ სმირნოვის ხსოვნას მიეძღვნა. მთავარი პრიზი დაიმსახურა სსრ კავშირის ნაკრებმა ვლადიმერ ლაპიცკის, ბორის კორეცკის, ვლადიმერ აფციაურის, იური ლიკოვისა და ალექსეი შეეცოვის შემადგენლობით. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის მე-2 გუნდი. III ადგილი ხვდათ გდრ-ის წარმომადგენლებს.

პირად ჩათვლაში საბჭოთა რაპირისტებს ხელი მოეცარათ. მათგან საუკეთესო, ამ ტურნირში არაერთგზის გამარჯვებული საბირ რუზიევი IV ადგილზე დარჩა. გაგაცნობთ პრიზიორთა სამეულს: ვოლდემარ ჩემელჩიკი (პოლონეთი), პეტრუ კუკი (რუმინეთი), ბოგუსლავ ზიხი (პოლონეთი).

სულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის 144 რაპირისტი.

აბსოლუტური ჩემპიონი 13 წლისაა

ცხენოსნობა

რამდენიმე წელია თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში ტრადიციულად ტარდება აბსოლუტური პირველობა ცხენოსნობის მეტად საინტერესო სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში.

წლევანდელ პირველობაში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლისა და საქართველოს სპორტკომიტეტის ცენტრალური საცხენოსნო სპორტული ბაზის სპორტსმენები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შეჯიბრების მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა მოზარდები იყვნენ.

„გახსნის პრიზზე" მარშრუტი (12 დაბრკოლება, სიმაღლე 100-110 სმ, 15 ნახტომი) უჯარიმოდ და ყველაზე ნაკლებ დროში დასძლია განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლის მხედარმა გოგონამ, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა 13 წლის სოფიკო გორგაძემ. მეორე ადგილზეა საქართველოს სპორტკომიტეტის ცენტრალური საცხენოსნო სპორტული ბაზის მხედარი ვალერი ალმამედოვი, მესამეზე—მისივე თანაგუნდელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პრიზიორი ვლადიმერ ტუაევი.

„ამორჩევით" — კონკურსში თავი ისახელა ცენტრალური საცხენოსნო სპორტული ბაზის წარმომადგენელმა ხვიჩა ტუსიშვილმა. მეორე იყო ტუაევი, მესამე — სოფიკო გორგაძე.

ყველაზე საინტერესო მაინც „თბილისის თასისათვის" დავა იყო. შეჯიბრება 2 გიტად ჩატარდა. პირველი ადგილი წილად ხვდა ტუსიშვილს, მანვე მეორე ადგილი დაიკავა ცხენ „რეზისტონით", მესამეზე აღმოჩნდა გორგაძე.

თბილისის აბსოლუტური ჩემპიონი შეჯიბრების დასკვნით დღეს გამოვლინდა. „ძალისმიერ ხტომებში" მხოლოდ ორი მხედარი — ტუსიშვილი და გორგაძე დაწინაურდნენ. ორივე სპორტსმენმა თანაბრად და უჯარიმოდ გადალახა 140 სმ სიმაღლის 8 დაბრკოლება. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნა დამატებითი ხტომები, მხედრებს 150 სმ-მდე სიმაღლის 6 დაბრკოლება უნდა გადაელახათ. ეს მარშრუტი სუფთად გაიარა სოფიკო გორგაძემ, ხოლო ტუსიშვილმა 4 საჯარიმო ქულა მიიღო და მეორე ადგილზე დარჩა. ოთხი კონკურსის ჯამში გორგაძემ 28,88 ქულა მოაგროვა და თბილისის 1984 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზეა ტუსიშვილი, რომელიც ჩემპიონს 1,66 ქულით ჩამორჩა. ასპარეზობის მესამე პრიზიორი გახდა ტუაევი.

გამარჯვებულის მწვრთნელია სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლის დირექტორი მიხეილ ტატიშვილი. ამ სკოლაში დაოსტატებული ბევრი ნიჭიერი მოზარდი თამამად იმკვიდრებს ადგილს მოწინავეთა შორის.

თამაზ ქიქავა.

• • •

სურათზე: თბილისის აბსოლუტური ჩემპიონი ცხენოსნობაში სოფიკო გორგაძე.

ავტორის ფოტო.

ტარიელ ქლენტის წარმატება

სროლა

ყაზახეთის დედაქალაქში სამ დღეს მიმდინარეობდა საკავშირო თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. მრგვალ სტენდზე თავდაპირველად თბილისელი თამაზ იმნაიშვილი დაწინაურდა. პირველ დღეს მან უშეცდომოდ ისროლა, მეორე დღეს კი მხოლოდ ორჯერ ააცდინა მიზანს და გამარჯვების შესანიშნავი შანსი გაუჩნდა, მაგრამ ასპარეზობის ფინიშზე მოულოდნელად იმარჯვა სრულიად უცნობმა სპორტსმენმა ა. როდიონოვმა (იჟევსკი), რომელიც შეჯიბრებაში იჟევსკელთა თხოვნით დაუშვეს ახალი თოფის „იჟ-144"-ის გამოსაცდელად. როდიონოვმა 196 თეფში დაამსხვრია და თასს დაეუფლა. მეორე შედეგი (195 თეფში) ერთბაშად სამ სპორტსმენს — ტულელ ი. იგნატოვსა და თბილისელთა „დუეტს" — იმნაიშვილსა და ვეტერან ტარიელ ქლენტს — აღმოაჩნდა. პრიზიორთა გამოსავლენად მათ დამატებითი სერიების გამართვა მოუხდათ. უშეცდომოდ ისროლა ქლენტმა, რომელმაც 73-ვე სამიზნე გატეხა და მეორე ადგილი მოიპოვა. III ადგილზეა იგნატოვი, მეოთხეზე — იმნაიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტის წრეში

რა ვუპასუხოთ?

ზოგჯერ ჩაიკითხავ სარედაქციო ფოსტას და გაოცებას ვერ დამალავ: ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ამ 20-25 წლის მანძილზე მავან და მავან ხელმძღვანელთა შეგნებაში ვერავითარი კორექტივი ვერ შეიტანა ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ საერთო დამოკიდებულების შეცვლამ — ისინი კვლავაც გულგრილობას იჩენენ ახალგაზრდებისადმი, რომლებსაც სპორტში მეცადინეობისათვის მინიმალური პირობებიც კი ოცნებად აქვთ ქცეული. დღეს ჩვენი მკითხველების სამსჯავროზე გამოგვაქვს გულისტკივილით დაწერილი რამდენიმე ბარათის მოკლე შინაარსი. ეს ბარათები ფოსტამ თითქმის ერთდროულად მოიტანა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან.

წერილი პირველი, ავტორი გურამ სახვაძე (ორჯონიკიძის რაიონი): „დღეს პატარა ხარაგოულში, სადაც მე ვცხოვრობ, ორჯერ გაიზარდა მოსახლეობა 60-იან წლებთან შედარებით. ახლა ბავშვი და მოზარდიც, ცხადია, მეტია და ნეტავ იცოდეთ, როგორ უინტერესოდ ცხოვრობენ, ფიზკულტურის გაკვეთილის გარდა მათთვის არ არსებობს ფიზკულტურა და სპორტი. ფეხბურთის მოედანი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ, სადაბო საბჭომ სამოსახლოდ გასცა. რა არ ვიღონეთ, ვის არ მივმართეთ, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ დაპირებებით დაგვაპურეს, მაგრამ დაპირება დაპირებად, მოედანი კი სამოსახლოდ დარჩა. მერე ისევ მოვახერხეთ სხვაგან გამოგვენახა სათამაშო ადგილი, ისევ ვიშრომეთ მის მოწყობაზე, მაგრამ სულ მალე ისიც ჩამოგვართვეს. მალე ჩვენი შვილებიც შეძლებენ ბურთის თამაშს, მაგრამ სად ითამაშონ? იქნებ დაგვეხმაროთ და გვირჩიოთ, რა პასუხი გავცეთ ჩვენ, მამებმა, შვილებს?“

წერილი მეორე, ავტორი ავთანდილ გოგოლაძე (ქვიშხეთი, ხაშურის რაიონი): „ქვიშხეთში შარშან აშენდა საშუალო სკოლის ახალი შენობა. ძველი ნაგებობა კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით რომელიღაც ორგანიზაციას გადაეცა. ახლა შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის მოედანზე ამ ორგანიზაციას კოტეჯების ჩადგმა განუზრახავს. ვესაუბრე დაწესებულების ხელმძღვანელს, მან დაცინვით მიპასუხა: სადაც გაგიხარდეთ, იქ იჩივლეთო“.

წერილი მესამე, ავტორები გ. ცნობილაძე, ფ. ცირეკიძე, ლ. ცქიფურიშვილი, გ. ივანეიშვილი, გ. გვენეტაძე, ხ. გვენეტაძე და სხვები, სულ 20 ავტორი (სოფელი საწირე, ტყიბულის ზონა): „ჩვენს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს ჰქონდა ერთადერთი ფეხბურთის მინდორი, რომლის სიახლოვეს აშენდა სანატორიუმი და ჩვენ მოედანზე სათამაშოდ აღარ გვიშვებენ. ფეხბურთის კარები და დასაჯდომები მოშალეს. ახალგაზრდობა მოკლებულია გონივრულ გართობა-დასვენებას, რის გამოც ისინი ტოვებენ მშობლიურ სოფლებს. მოგმართავთ თხოვნით, რათა დაგვიბრუნონ ჩვენი ყოფილი ფეხბურთის მოედანი, რომელსაც კვლავ განვაახლებთ და მოვაწყობთ საკუთარი ძალებით“.

წერილი მეოთხე. ავტორები ბ. ბაგრატია, ო. სამხარაძე, ნ. სარალიძე, ა. სარალიშვილი, ა. დავიდენკო და სხვები (მუხიანის დასახლება, გლდანის რაიონი, თბილისი): „დასახლების ცენტრში არის კარგი სტადიონი, რომელიც ბავშვებისა და ახალგაზრდების გართობის ადგილია. ეს სტადიონი აქ დასახლებაზე ადრე აშენდა. აქვეა ორი ძველი ნაგებობა, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ გასახდელებად და სპორტის სხვა სახეობებში სამეცადინოდ. ახლა გვეუბნებიან, ეს სტადიონი უნდა გაუქმდეს, ასეა გათვალისწინებული ახალი დასახლების განაშენიანების გეგმით. ვთხოვთ ყველას, ვისაც ამ სპორტული ბაზის ბედის გადაწყვეტა ეხება, ნუ აჩქარდებიან, ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონონ, რომ, როგორც ხდება ხოლმე, გამოუსწორებელი შეცდომა არ განმეორდეს“.

რედაქციისაგან: ვფიქრობთ, აჯობებს დასკვნებისა და კომენტარებისაგან ჯერჯერობით თავი შევიკავოთ, არ ვჩქარობთ, წერილების ავტორებს ისევ გაზეთის მეშვეობით ვაცნობებთ შედეგებს, როცა იმ რაიონების ხელმძღვანელებისაგან მივიღებთ პასუხს, საიდანაც ეს ბარათებია გამოგზავნილი.

ფიქრები ხმამაღლა

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა: ჭიდაობა—ქართული, თავისუფალი, კლასიკური, ძიუდო, სამბო — ქართული სპორტის სიმბოლური დედაბოძია, ჩვენი სპორტული ცხოვრების მაჯისცემის თავისებური საზომი. ჭიდაობის ქართული სკოლის ისტორია — ეს არის სახელოვან გამარჯვებათა შთამბეჭდავი მატიანე. ამ წარმატებებით შეგულიანებულ გულშემატკივარს, ცხადია, განსაკუთრებით ახარებს ქართველ ფალავანთა ყოველი ახალი გამარჯვება და, ამავე დროს, ძალზე მტკივნეულად განიცდის უმნიშვნელო ჩამორჩენასაც კი. კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, უფრო მეტად ძიუდოში, ამ ბოლო დროს საგრძნობლად გამოკეთდა საქმე. სამბოში კი, შეიძლება ითქვას, მდგომარეობა მეტად მძიმეა და, ვიდრე გვიან არ არის, საქმეს უნდა მივხედოთ.

სამბოს უჭირს, მივხედოთ სამბოს!

სპორტში აბსოლუტურ სტაბილურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნებისმიერ სახეობაში, მათ შორის ჭიდაობაშიც (აქ კი ქართველებს საკმაოდ საფუძვლიანი პრეტენზიები გვაქვს), შეიძლება წაიბორძიკო და გამარჯვებაზე ფიქრი სახვალიოდ გადადო. სწორედ ამიტომ, არც მოულოდნელი წარმატებით მეტისმეტი გათამამება ვარგა და არც გარდაუვალი მარცხის შემდეგ გაუთავებელი ვაი-ვიში. ერთი-ორი, თუნდაც საგანგაშოდ წაგებული შეჯიბრება, კატეგორიული დასკვნების უფლებას არ იძლევა, მაგრამ, თუ ჩამორჩენამ ქრონიკული ხასიათი მიიღო, მაშინ კი გვმართებს ხმის ამოღება და მარცხის მიზეზთა ძიებაც. ახლა ჩვენთან ეს სახეობა ისეთ დღეშია, განგაშის ზარებს თუ არ შემოვკრავთ, ხმამაღლა მაინც უნდა ვიყვიროთ: სამბოს უჭირს, მივხედოთ სამბოს! ვიცი, ძალზე კატეგორიულად არის ნათქვამი, იმასაც ვგრძნობ, ხვალ-ზეგ ოპონენტებიც რომ გამოჩნდებიან, მაგრამ, რაკი ამ თემაზე წამოვიწყეთ საუბარი, სათქმელი ბოლომდე უნდა ვთქვათ, თუნდაც იმიტომ, რომ დამალული ჭირი ყოველთვის უფრო საშიშია.

ჩვენებურ კაცს, ქართული სპორტის გულშემატკივარს, გამორჩეულად აღელვებს რამდენიმე სახეობის, პირველ ყოვლისა, ჭიდაობის, მოჭიდავეთა ბედი. ამგვარ დამოკიდებულებას ტრადიციასთან ერთად სახეობის ხასიათიც განსაზღვრავს: ჭიდაობაში გამარჯვება თითქოს განსაკუთრებით სამაყოა, დამარცხება კი — ძნელად მოსანელებელი... რა დასამალია, ფალავანი თუ წაგიქციეს, რაღაც გალახულივით გრძნობ თავს. ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც დაახლოებით ასე მსჯელობს: სამბო ხომ ოლიმპიური სახეობა არ არის და რა მოხდა, თუ კარგ სპორტსმენებს ვერა ვზრდითო. იქნება თუ არა სამბო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, ამას, ცხადია, ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ ძლიერი სამბისტები რომ შემოგვაკლდა ეს უკვე ჩვენი ბრალია და ამ „არგუმენტით“ თავს ვერ ვიმართლებთ. განა ისე კი პატარა ასპარეზი გვაქვს? — საბჭოთა კავშირის პირველობა, ხალხთა სპარტაკიადა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, თასების გათამაშება. ან იქნებ ნაკლებ გვეამაყება საკავშირო ჩემპიონატებში მოპოვებული ის ორმოცდათერთმეტი „ოქრო“, სამი მსოფლიო ჩემპიონი და ერთი ევროპისა! ეგეც რომ არ იყოს, განა სპორტში ყველაფერი მარტო ქულებით, ადგილებითა და ხარისხით იზომება?.. ქართული ჭიდაობა, როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახეობა, საქართველოსაც ვერ გასცდა (თუმცა ღირსი კი იყო). მაგრამ ზოგჯერ ქართულ ჭიდაობას უფრო მეტი ხალხი ესწრება, ვიდრე საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებს. ყალბ პათეტიკაში ნუ ჩამომართმევ, მკითხველო: მე ვნახე ჩვენი სამბისტების ჭიდაობა ბოლო ორ სპარტაკიადაზე, სხვა დიდ შეჯიბრებებსაც დავსწრებივარ და უნდა გითხრათ, ვერაფერი სანახაობა იყო. მახსოვს, ჩვენი მწვრთნელები მხრებს იჩეჩდნენ, რა ვქნათ, ძმაო, არ უნდათ ეს შენი სამბო, თითო-ოროლა ენთუზიასტის იმედზეღა ვართო.

მოდით, ვის არ უნდა და რატომ არ უნდა, ეს მერე გავარკვიოთ, ახლა კი ის დავითვალოთ, რა მოგვიპოვებია და რა დაგვიკარგავს. ზემოთ რომ „ოქროები“ ვახსენე, ისინი კარგა დიდი ხნის წინათაა ჩამოტანილი საქართველოში. 1979 წლის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკიდან არავის გაუმარჯვია სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში, ათი წელიწადია ქართველთაგან არავის უასპარეზია მსოფლიო პირველობაზე; თუ მეხუთე და მეექვსე სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა მესამე და მეორე ადგილები დაიკავა, მეშვიდე სპარტაკიადაზე მეექვსე ადგილზე ვიყავით, მერვეზე — მეშვიდეზე. გაუარესდა სხვა მაჩვენებლებიც. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სამბისტთა ახლანდელი თაობისა და მათი მწვრთნელების სასარგებლოდ არ მეტყველებს. ცალკეული გამარჯვებები იყო ჭაბუკთა შეჯიბრებებშიც და მოზრდილთა ტურნირებშიც, აქა-იქ პერსპექტიული ახალგაზრდობაც გამოჩნდა, მაგრამ ეს მხოლოდ სასიამოვნო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. ფაქტია: სამბოს ქართული სკოლა პოზიციებს თმობს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა თებერვალში რიბინსკში გამართულმა საკავშირო ჩემპიონატმა. ჩვენი რესპუბლიკიდან ერთადერთმა სერგეი ტერნოვიჩმა შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა. ამ შეჯიბრების შედეგები უფრო სხვა მხრივაა საყურადღებო. ჩვენმა მოჭიდავეებმა სულ ოცი შეხვედრა გამართეს, დამარცხდნენ ცამეტჯერ, აქედან ათჯერ (!) — მტკივნეული ილეთით. აქ კომენტარი ზედმეტი არ იქნება. სამბოში (ისევე, როგორც ძიუდოში) ორთაბრძოლის ბედი ხშირად „პარტერში“ წყდება, ჩვენი ფალავნების „აქილევსის ქუსლი“ კი სწორედ ეგ არის. „პარტერში“ მათი ტექნიკური არსენალი ერთობ შეზღუდულია — უმეტესობამ არც მტკივნეული ილეთი იცის, არც ამ ილეთისგან თავის დაცვა, ამიტომ მოჭიდავესაც და მის ქომაგსაც ერთი შიში აქვთ: ქვევით არ „ჩაითრიონ“ და ხელ-ფეხი არ მოუგრიხონ...

ამაზე ადრეც ბევრჯერ ითქვა, მაგრამ მარტო თქმა რას მოგვცემს. იგივე გრძელდება წლიდან წლამდე, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე. ანალოგიური სურათის მოწმენი გავხდით შარშან, სპარტაკიადაზეც. ტიპიური მაგალითი: თამაზ ჯველაური, ახალგაზრდა თელაველი ფალავანი, სწორედ რომ კარგი მოჭიდავეა. რად ღირს მისი ცქერა ქართულ ჭიდაობაში — მოგვერდი, კისრული, კაურები, სარმები... დგომში მართლაც ბადალი არა ჰყავს, მაგრამ აი, სამბოს ჩოხას გადაიცვამს და უკვე უჭირს. სპარტაკიადაზე ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა მტკივნეული ილეთით წააგო, იგივე განმეორდა საკავშირო ჩემპიონატზეც. აკი ამბობენ კიდეც მწვრთნელები: ჩოქბჯენში ჭიდაობა „სისხლში არა გვაქვს“ ქართველებსო. თვით სამბოს წესებში სპორტული ეთიკის, თუ გნებავთ, ვაჟკაცური ბრძოლის თვალსაზრისით, ზოგი რამ საჩოთიროც არის, მაგრამ რაკი ეს წესები ოფიციალურადაა დაკანონებული, რას ვიზამთ — გდებაც უნდა ვისწავლოთ და „გრეხაც“. მომიტევონ კადნიერება, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თვით ჩვენი მწვრთნელები კარგად არ იცნობენ სამბოს „პირველ სართულს“. თუ ასეა, იქნებ ჯობდა „პარტერის“ სპეციალისტი რუსეთის რომელიმე ქალაქიდან მოგვეწვია? სათაკილო არაფერია. მივავლინოთ ჩვენი მწვრთნელები სამბოს ცნობილ ცენტრებში, უფრო ხშირად მოვაწყოთ ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები და შეხვედრები რუსეთის ფედერაციის ძლიერ გუნდებთან. მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, უნდა შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულება სამბოს მიმართ.

ცხადია, სპორტის ყველა სახეობა ერთნაირად პოპულარული ვერ იქნება. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი. ისიც გასაგებია, რომ ისეთ რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა, არ მოხერხდება სპორტის უკლებლივ ყველა სახეობის დანერგვა, მაგრამ ძირითადი სახეობები, მათ შორის — ჭიდაობა, ჩვენი მუდმივი მზრუნველობის ობიექტი უნდა იყოს. სამბო (სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და ალბათ ბევრიც დამემოწმება) უთუოდ მეტ ყურადღებას იმსახურებს. აქ ჩვენი შესაძლებლობები და შედეგები ჯერ კიდევ არ ემთხვევა ერთმანეთს. ოფიციალური სტატისტიკა ასეთია: სამბო რესპუბლიკის 182 სპორტულ კოლექტივშია დანერგილი; სპორტული სკოლების, სპორტულ საზოგადოებათა სექციებსა და ჯგუფებში სულ 4 398 სამბისტი ვარჯიშობს. ამას დაუმატეთ ასამდე სპორტსმენი, ჭიდაობის უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლის 21 სასწავლო ჯგუფიდან. საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრებია, მაგრამ „არაოფიციალურად“ მაინც უნდა ითქვას, რომ ეს სტატისტიკა ვერ ასახავს ნამდვილ ვითარებას. საქმე ის არის, რომ სამბოს ჯგუფები მეტწილად ფორმალურად მოქმედებს და, ცხადია, ვერც დანიშნულებას ამართლებს. ამას აღიარებს უკლებლივ ყველა მწვრთნელი, ვისაც საქართველოს ნაკრებ გუნდებთან უხდება მუშაობა. რა კონტინგენტით ივსება უმაღლესი დაოსტატების ჯგუფები? წესით, ცვლა ბავშვთა სპორტული სკოლებიდან, სპორტსაზოგადოებათა სექციებიდან უნდა მოდიოდეს. სინამდვილეში კი აი, რა ხდება: უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლების მწვრთნელები ნაკრების წევრებთანაც მუშაობენ და დამწყებ ჯგუფებთანაც. უხეშად ირღვევა სკოლის დებულება, იქსაქსება მწვრთნელთა ისედაც მცირე კონტინგენტი, სახელდახელოდ კომპლექტდება გუნდები, დარღვეულია მუშაობაში ყოველგვარი თანმიმდევრობა და სისტემატურობა. აღარაფერს ვამბობთ მწვრთნელთა კვალიფიკაციაზე, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაბალ დონეზე. სპორტსაზოგადოებებში, ამ საკითხზე მიღებული არაერთი დადგენილების მიუხედავად, ვერა და ვერ დაინერგა სამბო (გამონაკლისია „დინამო“ და არმიის სპორტული კლუბი). სამბოს ჯგუფები არც სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატშია გახსნილი. ეს სახეობა მასობრივი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შეკრებაზე 15-20 სპორტსმენი თუ იყრის თავს. არ არის კონკურენცია, ის კი არა, ცალკეულ წონით კატეგორიებში სპარინგ-პარტნიორის მოძებნაც ჭირს. ასეთი ვითარება იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის წინ, თუმცა ამ სპარტაკიადაზე სპეციალისტებმა საქართველოს ნაკრებს მეორე-მესამე ადგილი „უწინასწარმეტყველეს“. სამწუხაროდ, პროგნოზი არ გამართლდა, ექვსმა მოჭიდავემ ჩასათვლელი ქულაც ვერ მოგვცა და გუნდი საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა. ძნელია ამ შედეგს გამართლება მოუძებნო, ძნელი იყო გულგრილად გვეცქირა ჩვენი სამბისტების ულიმღამო გამოსვლისთვის ბოლო საკავშირო ჩემპიონატზე (ამ ჩემპიონატს საქართველოდან ერთადერთი (!) მწვრთნელი ესწრებოდა).

ერთი სიტყვით, ჩამორჩენა აშკარაა. მიზეზები? ნათქვამს კიდევ აი, რას დავუმატებდი: სამბოს გეგმაზომიერ განვითარებაზე უთუოდ უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ სამბოს არა ჰყავს სახელმწიფო მწვრთნელი და ნაკრების უფროსი მწვრთნელი. ფაქტიურად, არ ფუნქციონირებს სამბოს რესპუბლიკური ფედერაციაც (მწვრთნელებს არც კი ახსოვთ უკანასკნელად როდის შეიკრიბა ფედერაციის პრეზიდიუმი). ბარემ ესეც ვთქვათ: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში რატომღაც გაუქმდა სამბოს სპეციალობა (ვითომ სპეციალისტები დაგვიგროვდა?), ინსტიტუტში ამ სპეციალობაზე სწავლის მსურველი კი, რა თქმა უნდა, ბევრი იყო. ზოგიერთმა „ხერხს“ მიმართა (მიზანი ამართლებს საშუალებას): ძიუდოში „გადაეწერა“ და იქ შეიტანა საბუთები. განა ეს ფაქტიც სამბოს ავტორიტეტის დამცირებაზე არ მეტყველებს? საერთოდ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სამბოდან ძიუდოში გადასვლა. თავისთავად ეს კანონზომიერია, მაგრამ ჩვენ ასეთი თვითნებური, გაუმართლებელი „მიმოსვლის“ წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ, თორემ რა გამოდის: სამბისტთა ნაკრების მწვრთნელს მავანი და მავანი სპორტსმენი თავისად ეგულება, ამ დროს ეს სპორტსმენი ძიუდოისტთა შეკრებაზეა და სულ სხვა შეჯიბრებისათვის ემზადება.

...მკითხველი ალბათ მიმიხვდება, რომ ეს წერილი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში სამბოს აღორძინების სურვილმა დამაწერინა.

ელგუჯა ბერიშვილი

პირველი...80 ნავს შორის

კახაბერ ლომიშვილის გამარჯვება

16 წლის ნიჩბოსანმა, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა კახაბერ ლომიშვილმა (მწვრთნელი ნოდარ (ცხოვრებოვი) ბოლო წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია — რამდენჯერმე მოიპოვა რესპუბლიკის პირველობა და სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა.

ორიოდე დღის წინ ნიჭიერმა ნიჩბოსანმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი — კრასნოდარში გამართულ საკავშირო პროფსაბჭოს პირველობაზე 1000-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაცურა ერთადგილიანი ბაიდარით (სულ 80 ნიჩბოსანი ასპარეზობდა).

ქების ღირსია მისი თანაგუნდელი, 17 წლის ოსტატობის კანდიდატი იგორ ნარიმანიძეც (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ჰამლეტ მარეხაშვილი), რომელიც 75 კანოისტს შორის მეხუთე იყო.

ახლა კ. ლომიშვილი და ი. ნარიმანიძე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული (1966-68 წლებში დაბადებულნი) პირველობისთვის ემზადებიან, რომელიც აპრილში გალში, მდინარე რეჩხზე გაიმართება.

ლამარა ხურციძე.

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: კახაბერ ლომიშვილი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

დინამოელთა საწვრთნელი მატჩი

ბათუმი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქაურ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისისა და ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა საწვრთნელმა მატჩმა. უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში ახლა ხანმოკლე შესვენებაა, სულ მალე კი დაიწყება I ლიგის საკავშირო გათამაშება, ამიტომ თანაკლუბელთათვის ეს შეხვედრა მეტად საჭირო და სასარგებლო იყო.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს დაძაბულ ბრძოლას. თბილისელებმა ჩივაძემ და შენგელიამ პირველ ტაიმში სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და მასპინძელთა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ბათუმელებმა გააძლიერეს თამაში, რასაც მალე ჩელებაძის საპასუხო გოლი მოჰყვა — 1:1.

მატჩის დამთავრებამდე მეტოქეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს (თბილისელთაგან — ცაავამ, ხოლო ბათუმელთაგან — კვლავ ჩელებაძემ, 11-მეტრიანით) და საწვრთნელი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

გუნდების შემადგენლობანი: **თბილისი** — ქანთარია (ბალაძე), პაიკიძე, ჩივაძე, თევზაძე (ჩქარეული), არზიანი, კაკილაშვილი, სიჭინავა (გურული), ქორდანია, ქვანია (ქორქიკაშვილი), ცაავა, შენგელია; **ბათუმი** — მამინაშვილი, წუწუნავა, ანდღულაძე, სიმონიშვილი, დურდიაძე, ზედანია, თოფურია, ბაბუნიძე, ატუაშვილი (შელია), გორგილაძე, ჩელებაძე. იმსაჯა ბათუმელმა ნ. შავიშვილმა.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს პირველობა

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის II წრეში წალენჯიხის „სქურმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა წულუკიძის „იმერეთი“. ცხაკაიის „ეგრისმა“ მოუგო ოჩამჩირის „ამირანს“ — 3:2.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 29 მარტისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შევარდენი“	2	2	0	0	5-0	4
„იბერია“	2	2	0	0	6-2	4
„ავტომობ.“	2	2	0	0	5-1	4
„სპარტაკი“	2	1	1	0	5-2	3
„ჰერეთი“	2	1	1	0	3-1	3
„კახეთი“	2	1	1	0	2-0	3
„იმედი“	2	1	1	0	2-0	3
„მადნეული“	2	0	2	0	2-2	2
„დურუჯი“	2	0	2	0	2-2	2
„მეტალურგი“	1	0	1	0	0-0	1
„თორი“	2	0	1	1	1-3	1
„არაგვი“	2	0	1	1	1-3	1
„სამგორი“	2	0	1	1	2-5	1
პოლ. ინსტ.	2	0	0	2	1-3	0
ფიზკ. ინსტ.	2	0	0	2	0-3	0
„არმაზი“	1	0	0	1	2-5	0
„ალაზანი“	2	0	0	2	1-8	0

დასავლეთი ზონა

„დინამო“ ზ.	2	2	0	0	6-3	4
„შადრევანი“	2	2	0	0	4-1	4
„მეტალურგი“	2	1	1	0	5-0	3
„მზიური“	2	1	1	0	3-1	3
„სქური“	2	1	1	0	3-2	3
„საპოვნელა“	2	1	0	1	6-4	2
„დინამო“ გ.	2	1	0	1	3-1	2
„კოლხეთი“	2	1	0	1	6-6	2
„ეგრისი“	2	1	0	1	4-4	2
„გიგანტი“	2	1	0	1	1-1	2
„სულორი“	2	1	0	1	2-3	2
„სალხინო“	2	1	0	1	2-6	2
„სამეგრელო“	2	0	2	0	0-0	2
„ამირანი“	2	0	1	1	3-4	1
„მაღაროელი“	2	0	1	1	0-2	1
„ბახმარო“	2	0	1	1	1-4	1
„საირმე“	2	0	0	2	1-4	0
„იმერეთი“	2	0	0	2	1-5	0

ნიჩბოსნობა

ორიენტირი – მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

ფოთის რესპუბლიკურ სანიჩბოსნო ბაზაზე, მდინარე კაპარჭინაზე, ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა კანოესა და საბაიდარო ნიჩბოსნობაში. სარბიელზე გამოვიდა „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „კოლმეურნეს“, „შრომითი რეზერვების“, „ლოკომოტივისა“ და „ვოდნიკის“ 120 ნიჩბოსანი (დაბადებულნი 1966-1969 წლებში).

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ბაზის კოლექტივმა (დირექტორი ა. ჩხეიძე), მიუხედავად რთული მეტეოროლოგიური პირობებისა, ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. წლევანდელი სეზონის პირველი შეჯიბრების საცქერლად საკმაოდ ბევრმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი.

თავს არ შეირცხვენენ...

ასპარეზობის პირველი დღე მოკლე დისტანციებს (500 და 1000 მეტრი) დაეთმო. სტარტი ჯერ ერთადგილიანი ბაიდარებით მოასპარეზე გოგონებმა აიღეს. ძირითადი ბრძოლა პირველობისათვის ლ. ზიკოვას („კოლმეურნე“), ე. ბარაბაძეს („განთიადი“) და ფ. კუხალეიშვილს („შრომითი რეზერვები“) შორის გაიმართა.

სამივე სპორტსმენმა დისტანციის მეოთხედი თანაბრად გაიარა, შემდეგ ზიკოვამ მოუმატა ტემპს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ზღვარი.

1000-მეტრიან დისტანციაზე ზიკოვა შ. ქობულაძესთან ერთად გამოდიოდა. „კოლმეურნეს“ სპორტსმენები აქაც უძლიერესნი იყვნენ.

ვაჟთა შორის 500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარით სტარტიდანვე დაწინაურდა ზ. ლალიაშვილი („შრომითი რეზერვები“). მას „ფეხდაფეხ“ მისდევდნენ ე. სარქისიანი („კოლმეურნე“) და შ. ქობალია („დინამო“). ფინიშამდე 50 მეტრით ადრე ლალიაშვილმა ძლიერი მოსმით პირველობა დაისაკუთრა.

ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში ტოლი არ ჰყავდა ზ. აფციაურისა და ე. კაკალაშვილის წყვილს („შრომითი რეზერვები“).

ერთადგილიანი კანოეთი 500 მეტრ დისტანციაზე უძლიერესი იყო მ. ოჩიგავა („კოლმეურნე“). მისმა თანაგუნდელმა დ. გევორქიანმა და დ. ბოგდანოვმა ორადგილიანი კანოეთი იმარჯვეს.

1000-მეტრიან დისტანციაზე ერთადგილიანი ბაიდარით გაცურვაში საუკეთესო იყო ბურევესტნიკელი ი. შახიჯანოვი. ორადგილიანებით ფინიშთან პირველები მივიდნენ ზ. კვირიკაშვილი და ზ. მინაშვილი („კოლმეურნე“).

ასპარეზობის მეორე დღეს ნიჩბოსანი ვაჟები 5-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა, ცივი ქარი ქროდა. მიუხედავად ამისა, სარბიელს ერთი სპორტსმენიც არ გამოკლებია.

ერთადგილიანი ბაიდარით შეჯიბრებაში 11 ნიჩბოსანმა აიღო სტარტი. მთელი დისტანცია კარგად გაიარა გ. რაზმაძემ („ლოკომოტივი“).

ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმეს ზ. აფციაურმა და ე. ქაშაკაშვილმა („შრომითი რეზერვები“), ხოლო ერთადგილიანი კანოეთი პირველი იყო დ. ბოგდანოვი.

საბოლოოდ საპრიზო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: „შრომითი რეზერვები“, „კოლმეურნე“, „დინამო“.

შეჯიბრების დასასრულს ვესაუბრეთ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის მთავარ მწვრთნელს ნიჩბოსნობაში **ვიტალი ბრძელიშვილს**:

— კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ შეჯიბრებამ ბევრი პერსპექტიული ნიჩბოსანი გამოავლინა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჰაბუკებმა. შარშანდელთან შედარებით ისინი ბევრად უკეთესად არიან მომზადებულნი. სასურველია, თბილისის სპორტულ ინტერნატსა და განათლების სამინისტროს საწყლოსნო სახეობათა ბავშვთა სპორტულ სკოლას რესპუბლიკის სხვა ქალაქების ნიჩბოსნებიც ამოუდგნენ მხარში. აი, სწორედ მაშინ შეიძლება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე წარმატების იმედი გვქონდეს.

ვესაუბრეთ აგრეთვე ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **ავერი მატკავას**:

— ასპარეზობის შედეგებით კმაყოფილი ვარ, მით უფრო, რომ იგი სეზონის პირველი სტარტი იყო. კარგად იასპარეზეს ნაკრები გუნდების წევრებმა ზიკოვამ, ბარაბაძემ, ქობულაძემ, ლალიაშვილმა, ოჩიგავამ, ქაშაკაშვილმა, რაზმაძემ. საკავშირო სპარტაკიადამდე მცირე დრო დარჩა, მანამდე კიდევ რამდენიმე შეჯიბრება მოგველის.. ასე, მაგალითად, მაისში ფოთში გავმართავთ სამატჩო შეხვედრას, აქ ჩვენთან ერთად გამოვლენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბალტიისპირეთის ნიჩბოსნები.

გავესაუბრეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯსაც **თეზეი ნებიერიძეს**:

— მოასპარეზეებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, განსაკუთრებით ჰაბუკებმა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ნიჩბოსნები თავს არ შეირცხვენენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

ლამარა ხეცურიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(„ლელოს“ სპეც. კორ.).
ფოთი.

ფეხბურთი

გეპატიჟებათ „მხიარული ბურთი“

თეატრი გასახდელიდან იწყება. თუ ასეა, მაშინ სპორტული ასპარეზობა, ალბათ მოსაწვევი ბარათით იწყება. უნდა ითქვას, რომ ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირის „სავიზიტო ბარათი“ მართლაც საუკეთესო გამოვიდა: ოსტატის ხელით ლამაზად გაფორმებული მოსაწვევის ყდიდან პატარა მხიარული ფეხბურთელი შემოგცქეროდა, ქართული ქუდი მოხდენილად რომ დაეხურა.

ვისარგებლეთ ორგანიზატორების — თბილისის ერთ-ერთი ახალი რაიონის პარტიის გლდანის რაიკომისა და ალმასკომის, რაიონის კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების მიწვევით და „სინათლის“ სტადიონისაკენ გავეშურეთ...

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თუ გული გულობს... ერთი სიტყვით, გლდანის რაიონის ნორჩ ფეხბურთელთა ღია საგაზაფხულო ტურნირი „მხიარული ბურთის“ პრიზზე საუცხოოდაა ორგანიზებული. კაცმა რომ თქვას, ეს არც გაგვკვირვებია, ვინაიდან შარშან მსგავსი შეჯიბრება გლდანელებმა ასევე კარგად ჩაატარეს და დიდი ქებაც დაიმსახურეს, როგორც სპორტული ორგანიზაციებისგან, ისე პრესისგან.

...გაისმა საზეიმო მარშის ხმა და სტადიონზე შეჯიბრების მონაწილენი შემოვიდნენ. გუნდებს, როგორც წესი და რიგია, წინ ბიჭუნები მიუძღვებოდნენ ტრაფარეტებით ხელში. ვკითხულობთ ლამაზ წარწერებს: „ულდუზი“ (ბაქო), „ამირანი“ (ოჩამჩირე), „ბახტრიონი“ (ახმეტა), „იმერეთი“ (ქუთაისი), „მართვე-I“ „მართვე-II“ (ორივე — თბილისი, გლდანის რაიონი).

ნორჩებს გულთბილად მიესალმნენ პარტიის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი ომარ ხიზანიშვილი, „ტყავის ბურთის“ კლუბის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე, ბაქოელთა გუნდის უფროსი პიოტრ კუზნეცოვი, ოჩამჩირის „ამირანის“ კაპიტანი დემურ კაკუბავა.

სტუმარ-მასპინძლებმა ცეცხლოვანი ცეკვა-თამაში გააჩაღეს. გლდანელი მოცეკვავე გოგო-ბიჭები ნორჩმა მოსკოველებმა — ბაუმანის რაიონის ბაუმანის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრებმა შეცვალეს. შემდეგ ასპარეზი ტურნირის მონაწილე ფეხბურთელებს (1970-1971 წლებში დაბადებულნი) დაეთმო.

— გლდანის რაიონი 25 ათას მოსწავლეს ითვლის — გვეუბნება **ომარ ხიზანიშვილი**,— ცხადია, ჩვენი უპირველესი ამოცანაა სწავლასთან ერთად სპორტითაც დავაინტერესოთ ყმაწვილები. ეზოებში ვაწყობთ მარტივი ტიპის ღია მოედნებს, ვქმნით ცნობილ სპორტსმენთა კლუბებს (სხვათა შორის, ამ დღეებში ჯემალ ცერცვაძის კლუბს ვხსნით საზეიმოდ), ვაწყობთ შეჯიბრებებს სხვადასხვა სახეობაში. ბიჭებს განსაკუთრებით მაინც ფეხბურთი უყვართ და ჩვენც უკვე ტრადიციად ვაქციეთ სასკოლო არდადეგების პერიოდში ტყავის ბურთის მომავალ ოსტატთა ღია ტურნირები ბავშვთა ქუჩის გუნდების მონაწილეობით. შარშან საასპარეზოდ პატარა გეორგიევსკელი ფეხბურთელები გვეწვივნენ, წლეულს კი ბაქოელები მოვიპატიჟეთ. ძალიან გაგვახარა ტურნირში გლდანელთა დაძმობილებული რაიონის — ახმეტელების ჩამოსვლამ. ტრადიციას, ცხადია, არ ვუღალატებთ. ეს ღონისძიება მარტო ფეხბურთს როდი ეთმობა. ნორჩებისათვის საგანგებო კულტურული პროგრამაც შევადგინეთ. ბავშვები ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ეწვევიან სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, მოწინავე საწარმოებს, კოლექტიურად დაესწრებიან მოზარდ მაყურებელთა თეატრებისა და საცირკო წარმოდგენებს. მათთვის ეწყობა ექსკურსიები მცხეთასა და გორში.

საუბარში ჩაერია ბორის პაიჭაძე:

— 120 ნორჩი ფეხბურთელი მინდორზე — ეს მართლაც ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღის საუკეთესო დათვალიერება და ჭეშმარიტი ზეიმია. ვფიქრობ გლდანელთა თაოსნობა სამაგალითოა. კარგი იქნება, თუ სხვა რაიონებიც მიჰბაძავენ მათ.

და ბოლოს კიდევ ერთი ინტერვიუ — წარსულში თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატთან **რევაზ მახარაძესთან**:

— როდესაც რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ რამიშვილმა ნორჩ გლდანელ ფეხბურთელთა მწვრთნელობა შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი. არც შევმცდარვარ. კარგი ბიჭები არიან, ძალიან უყვართ სპორტი და დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობენ. ალბათ შეამჩნევდით, ჩვენს სტადიონზე წარწერაა გამოკრული: „მხიარული ბურთის“ ტურნირიდან — დიდ ფეხბურთამდე!“ ვიმედოვნებ, ასეც იქნება. სხვათა შორის, ჩვენი „მართვე-I“-ის კაპიტანი, ცენტრალური მცველი კახა წიკლაური და მარჯვენა მცველი კახა ჭელიძე ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ ნაკრებში მიიწვიეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „მართვეს“ გუნდის წევრები ძირითადად ერთ კლასში სწავლობენ — მე-16 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელები არიან.

...ქუთაისელ ბროლის ოსტატთა ნახელავი, ორიგინალური ბურთი — ნორჩ ფეხბურთელთა მთავარი პრიზი — თავის მომავალ მფლობელს ელის, მის გვერდით კიდევ ბევრი ჯილდო დევს — ტურნირის საუკეთესო ბომბარდირს, მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს...

მწვანე მინდორზე 13-14 წლის ფეხბურთელთა დაძაბული და საინტერესო ბრძოლები მიმდინარეობს.

ოთარ ოთარაშვილი.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩები

გუშინ ვილნიუსში

28 მარტს ვ. სმისლოვ-გ. კასპაროვის მატჩის მერვე პარტია გაიმართა.

შეხვედრა ყაიმით დამთავრდა 28-ე სვლაზე.

მატჩის ანგარიშია 5:3 (+2=6) კასპაროვის სასარგებლოდ.

გთავაზობთ 26 მარტს გათამაშებული მეშვიდე პარტიის მსვლელობას.

მეშვიდე პარტია

კასპაროვი — სმისლოვი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. მf3 მf6 3. c4 c6 4. მc3 e6 5. კg5 მbd7 6. e3 ლa5 7. მd2 კb4 8. ლc2 0—0 9. a3 d×c4 10. კ×f6 მ×f6 11. მ×c4 კ×c3+ 12. ლ×c3 ლ×c3 13. b×c3 c5 14. კe2. ყაიმი.

ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა

დღეს, 29 მარტს, სოჭში უნდა გათამაშდეს ი. ლევიტინა — ლ. სემიონოვას მატჩის მეცხრე პარტია. ეს შეხვედრა 27 მარტს არ შედგა, რადგან ლევიტინამ „ტაიმ-აუტი“ აიღო.

ორთაბრძოლის ანგარიშია 4:4, (+2—2=4).

გაეცანით მერვე პარტიას.

მერვე პარტია

ლევიტინა — სემიონოვა

ინდური დაცვა

1. მf3 g6 2. d4 მf6 3. კg5 მe4 4. კf4 კg7 5. მbd2 d5 6. e3 c5 7. c3 მc6 8. მ×e4 d×e4 9. მd2 e×d4 10. e×d4 ლa5 11. კe2 0—0 12. 0—0 g5 13. მc4 ლf5 14. კg3 ლg6 15. f3 f5 16. f4 h6 17. d5 მb8 18. მფh1 მd7 19. d6 e6 20. a4 მფh8 21. a5 კf6 22. მe3 ეg8 23. კc4 მf8 24. a6 b6 25. ლe2 კd7 26. f×g5 h×g5 27. კf2 ეg7 28. კg1



28. ...ეh7 29. ეae1 კe5 30. ეd1 g4 31. g3 კ×g3 32. მ×f5 კ×h2 33. კ×h2 e×f5 34. მფg2 ეe8 35. კg3 ეh3 36. ლe3 მფh7 37. ეh1 ლh5 38. ეh2 ე×h2+ 39. კ×h2 მg6 40. კg3 ლh3+ 41. მფg1 მe5 (ჩაწერილი სვლა) 42. კd5 მფg6 43. კf4 მd3 44. ლ×h3 g×h3 45. კe3 მ×b2 46. ეf1 მd3 47. მფh2 მe5 48. კ×b6 a×b6 49. a7 მc6 50. კ×c6 კ×c6 51. ეb1 e3 52. d7 ეd8 53. ე×b6 e2 54. ე×c6+ მფf7 55. ეc8 e1ლ 56. ე×d8 ლd2+. თეთრები დანებდნენ.

სემიონოვამ თავიდანვე პერსპექტიული პოზიცია მიიღო. იგი საინტერესოდ თამაშობდა და მე-16 სვლაზე უკვე ინიციატივას დაეუფლა. მალე ლევიტინა იძულებული გახდა მეფის უშიშროებაზე დაეწყო ზრუნვა, მაგრამ როგორც კი სემიონოვამ თავისი ძალები დაძრა, თეთრი გვირგვინოსანი მაინც დიდ განსაცდელში აღმოჩნდა. იერიშმა სემიონოვას გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა. ბოლოს ლევიტინამ კუს შეწირვით გამვლელი პაიკი მიიღო, მაგრამ სემიონოვამ უფრო სწრაფად „გააცოცხლა“ ლაზიერი და გაიმარჯვა.

●

გოჩა თორია ლიდერთა შორისაა

აქტიუბინსკი, 27 მარტი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის კოლმეურნე მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 6 ოსტატი და 7 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობს, მათ შორისაა „კოლმეურნეს“ წარმომადგენელი — ოსტატობის კანდიდატი გოჩა თორია.

8 ტურის შემდეგ თორიას 5 ქულა აქვს (სამი მოგება, ოთხი ყაიმი, ერთი წაგება) და მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. ლიდერობს ლატვიელი საერთაშორისო ოსტატი ე. კენგისი — 6.

გ. ტყებუჩავა,

ოსტატობის კანდიდატი.

მოსწავლეთა რესპუბლიკური...

სამტრედია, 28 მარტი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ჩემპიონატში ფინიშის მოახლოებასთან ერთად ბრძოლაც მძაფრდება.

გოგონათა შეჯიბრებაში 8 ტურის შემდეგ საქართველოს ჩემპიონს ქეთევან კახიანს (გარდაბანი) 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება თბილისელი ქეთევან აბაშიძე. 5-5 ქულა მოაგროვეს ნათია წკეპლაძემ (ქუთაისი) და ნინო გელაშვილმა (თბილისი), მაგრამ ქუთაისელ მოჭადრაკეს ორი დაუმთავრებელი პარტია აქვს.

ჭაბუკთა ჩემპიონატში ლიდერები მჭიდროდ მიუახლოვდნენ ერთმანეთს. 9 ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულა აქვთ თამაზ ტაბატაძეს (თბილისი), ნუკრი მანაგაძეს (ქუთაისი), რამაზ ბალათურიას (სოხუმი) და გიზო პურღულიას (ზუგდიდი), 6-6 ქულა — გივი გოგიჩაიშვილს (თბილისი) და ხვიჩა სუპატაშვილს (ქუთაისი).

ბეჟან ჩხაიძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

●

უძლიერესნი

ამას წინათ ფიდე-მ გამოაქვეყნა მსოფლიოში უძლიერესი 50 ქალისა და 100 მოჭადრაკე ვაჟის რეიტინგები 1984 წლის 1 იანვრისთვის. გაგაცნობთ უძლიერესთა ოცეულებს.

ქალები: პია კრამლინგი (შვეცია) 2405, მაია ჩიბურდანიძე 2385, ნანა ალექსანდრია 2370, ნონა გაფრინდაშვილი 2330, ელენა ახმილოვსკაია 2300, ნანა იოსელიანი 2290, მარტა ლიტინსკაია 2280, ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) 2275, აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი), ბარბარა ხუნდი (გფრ), ტატიანა ლემაჩკო (შვეიცარია) 2700-2700, ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი) 2250, ირინა ლევიტინა, იანა მალსი (ინგლისი) 2245-2245, ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია), მარგარეტა მურეშანი (რუმინეთი). სტეფანკა ვოკრჟალოვა (გფრ) 2230-2230, ნინო გურიელი, ბრიგიტ ჰოფმანი (გდრ), ჰანა ერენსკა-რადზევსკა (პოლონეთი) 2225-2225.

22-ე ლიდია სემიონოვა 2210, 35-ე — მარია ივანკა (უნგრეთი) 2165, 42-ე — ელიზაბეტა პოლიქრონიადე (რუმინეთი) 2160 და 46-ე — თამარ ხუგაშვილი 2140.

ვაჟები: გარი კასპაროვი 2710, ანატოლი კარპოვი 2700, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) 2635-2635, ულფ ანდერსონი (შვეცია), რაფაელ ვაჰანიანი 2630-2630, ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) 2625, რობერტ ჰიუბნერი (გფრ), მიხეილ ტალი 2620-2620, ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ლევ პოლუგაევსკი, ბორის სპასკი 2615-2615, ენტონი მაილსი (ინგლისი), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), იან ტიმანი (ჰოლანდია) 2610-2610, ჯონატან ნუნი (ინგლისი), ვასილ სმისლოვი 2600-2600, უოლტერ ბრაუნი (აშშ) 2585, ტიგრან პეტროსიანი, ოლეგ რომანიშინი 2580-2580.

საქართველოს მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო რეიტინგი აქვს თამაზ გიორგაძეს — 2495 (87-ე ადგილი).

აი, საქართველოს მოჭადრაკეთა რეიტინგები:

მზია წერეთელი — 2155, ციალა ქასოშვილი — 2105, ქეთევან მელაშვილი — 2100, ციცინო კახაბრიშვილი — 2080, ქეთევან არახამია — 2070, თამილა მესხი— 2045, ნანა ჩხეიძე — 2000, ჰენრიეტა ლაგვილავა — 1990, ციური კობაიძე — 1975, ირმა აბზიანიძე — 1870.

ედუარდ გუფელდი — 2480, ბუხუტი გურგენიძე, ელიზბარ უბილავა, გენადი ზაიჩიკი — 2470-2470, ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2460, ზურაბ სტურუა — 2450, ზურაბ მიქაძე — 2420, გია გიორგაძე — 234[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის საერთაშორისო

მოსკოვი, 28 მარტი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). მოსკოვის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. ზაიცევა — 4 ქულა, ა. ახშარუმოვა — 3,5 (1), ე. ფატალიბეკოვა (ყველა მოსკოვი) — 3,5, ნ. იოსელიანი — 3 (1) და დ. ნუცუ (რუმინეთი) — 3.

ქართველმა დიდოსტატმა მოუგო ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი), დე არმასს (კუბა), დაუზავდა ა. ვაგნერმიხელს (გდრ), ნ. ბალაშოვას (მოსკოვი) და პარტია გადადო დიდოსტატ ნ. კონოპლიოვასთან (მოსკოვი).

ახალი ჩემპიონი 23 წლისაა

იუგოსლავიის მოჭადრაკეთა 39-ე ჩემპიონატში გაიმარჯვა 23 წლის სარაევოელმა დიდოსტატმა პრედრაგ ნიკოლიჩმა. მან ოთხი წლის შემდეგ დაიბრუნა რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტული.

ახალი ჩემპიონი სარაევოს უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტს ამთავრებს.

1973 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ სამი წლის მანძილზე, იგი ქვეყნის ჩემპიონი იყო პიონერთა შორის, შემდეგ მოიგო იუგოსლავიის როგორც ახალგაზრდული, ისე მოზრდილთა პირველობები. მის აქტივშია ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობაზე მოპოვებული III ადგილი. 1982 წელს სოჭში გამართულ შეჯიბრებაში ნიკოლიჩი ტალის შემდეგ II ადგილზე გავიდა, შარშან კი სარაევოს საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

კიდევ ორი ყაიმი

ხ. ვირსმას (ჰოლანდია) და ვ. ვირნის (სსრ კავშირი) მატჩში მსოფლიო პირველობაზე ასუჯრიან შაშში მერვე და მეცხრე პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ანგარიშია 5:3 ჰოლანდიელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

ფეხბურთის ამბები

სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა (16 წლამდე ასაკის) ნაკრებმა განმეორებით მატჩში დაამარცხა ბულგარეთის გუნდი ანგარიშით 3:0 და ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

ოსნაბრიუკი (გფრ). აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის (ასაკი — 21 წლამდე). შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. სტუმართაგან ბურთი გაიტანა დმიტრიევმა, ხოლო მასპინძელთაგან — მიხაელ რუმენიგემ (11-მეტრიანი).

ბრაზილიელები ეძებენ მწვრთნელს

რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ პრეტენზიით მიმართა თავისი ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციას და მოითხოვა ნაკრებთან მუშაობის ნორმალური პირობები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელები კონტრაქტის ძალით უცხოეთის კლუბებში თამაშობენ, გარდა ამისა, თვით ბრაზილიის პროფესიული კლუბები მას დროულად არ უგზავნიან იმ მოთამაშეებს, რომლებიც ნაკრებს სჭირდება.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ადგილობრივი პრესის საშუალებით მკითხველებს აუწყა, რომ კარლოს ალბერტო პარეირას მოთხოვნათა შესრულება არ შეუძლია, ამიტომ დააკმაყოფილა მწვრთნელის თხოვნა და გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან. ახლა ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურები ახალ მწვრთნელს ეძებენ ნაკრებისთვის.

კ. პარეირას ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრებმა 14 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 5 მოიგო, 7 ფრედ დაამთავრა და 2 წააგო.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

გფრ

ეროვნული პირველობის XXIV ტურში გათამაშების ლიდერებმა—მიუნჰენის „ბაიერნმა“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს. მაგრამ თუ მიუნჰენელთა მოგება (5:1) ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბოხუმთან“ არავის გაჰკვირვებია, „ჰამბურგის“ ასეთი გამარჯვება (4:0) ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ვერდერთან“ (ბრემენი) გარკვეულ მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს. მიონჰენგლადბახის „ბორუსიამ“, რომელიც თანდათან აუმჯობესებს თამაშს, სტუმრად სძლია „კიოლნს“ — 2:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ორი „აინტრახტის“ მატჩი, სადაც მასპინძლებმა — მაინის ფრანკფურტის ფეხბურთელებმა ბრაუნშვაიგელებთან წააგეს. „შტუტგარტმა“ საკუთარ მინდორზე ფრედ (2:2) ითამაშა ლევერკუზენის „ბაიერთან“, ხოლო დორტმუნდის „ბორუსიამ“ აშკარად დაჯაბნა დიუსელდორფის „ფორტუნა“ — 6:0.

	თ.	ბ.	ქ.
„ბაიერნი“	24	59:22	35
„ჰამბურგერ შფ.“	24	56:26	34
„ბორუსია“ (მონ.)	24	54:34	33
„შტუტგარტი“	23	48:24	31

ინგლისი

ჩემპიონატის XXXII ტურში ლიდერი შეიცვალა: „ლივერპული“, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სათავეში იდგა გათამაშების ცხრილს, სტუმრად დამარცხდა „საუთჰემპტონთან“ — 0:2, ამასობაში კი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ დიდი ანგარიშით (4:0) მოუგო ლონდონის „არსენალს“ და ერთი ქულით გაუსწრო ლივერპულელებს. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ მანჩესტერელთა გუნდის ბრწყინვალე თამაშს, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ შეხვედრებში ესპანეთის „ბარსელონასთან“. საკმაოდ მოულოდნელი იყო ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ მარცხი (1:4) სტუმრად „ლესტერ სიტისთან“. ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ შინ მინიმალური ანგარიშით (1:0) სძლია „ნოტინგემ ფორესტს“, ხოლო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ ასეთივე ანგარიშით წააგო თანაქალაქელთა გუნდთან — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“.

„მანჩესტერ იუნ“.	32	63:31	64
„ლივერპული“	32	51:24	63
„საუთჰემპტონი“	30	39:25	55

იტალია

ბოლო ხანებში აშკარად უკლო თამაშს შეჯიბრების ლიდერმა — ტურინის „იუვენტუსმა“. ეს ეხება არა მარტო ეროვნულ პირველობას, არამედ თასების მფლობელთა თასის გათამაშებასაც, სადაც ტურინელებმა საკმაოდ უფერულად ჩაატარეს მატჩები ფინეთის „ჰაკას“ წინააღმდეგ. მორიგ XXIII ტურში ისინი დამარცხდნენ ვერონაში, ადგილობრივ „ჰელასთან“ — 1:2. ანგარიში გახსნა სტუმართა ნახევარმცველმა პლატინიმ, რომელიც ამჟამად „იუვენტუსის“ ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც სპეციალისტთა და ჟურნალისტთა ქებას იმსახურებს. მაგრამ შემდეგ ვერონელებმა გალდერიზიმ და იორიომ (პენალტით) გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს. 50 ათასი მაყურებელი დაესწრო მატჩს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“. ამ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი „რომა“ „უდინეზეს“ მასპინძლობდა. პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს (ედინიო), რამაც თითქოს გამოაცოცხლა ფალკაო და მისი მეგობრები. ანგარიში თვით ფალკაომ გაათანაბრა, მერე კი სერეზომ, კონტიმ და დი ბარტოლომეიმ (პენალტით) „უდინეზეს“ საბოლოოდ გადაუწურეს წარმატების იმედი — 4:1. კარგად ითამაშა ფლორენციის „ფიორენტინამ“ კატანიაში — ანგარიშით 2:0 დაამარცხა ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი. თავი გამოიჩინა სტუმართა ახალგაზრდა თავდამსხმელმა მონელიმ, რომელმაც ორჯერ აიღო მეტოქის კარი. „ტორინომ“ და „ასკოლიმ“ ფრედ ითამაშეს — 0:0. ასევე დასრულდა მილანის გუნდების — „მილანისა“ და „ინტერნაციონალეს“ შეხვედრა.

„იუვენტუსი“	23	47:23	33
„რომა“	23	38:21	31
„ფიორენტინა“	23	41:23	30

ჰოლანდია

როგორც ჩანს, ქვეყნის ჩემპიონი ამსტერდამის „აიაქსი“ ვერ შეინარჩუნებს თავის ტიტულს. გათამაშების XXV ტურში მან მეტად სუსტად ჩაატარა შეხვედრა საკუთარ მინდორზე „ჰაარლემთან“ და დამარცხდა — 0:3. ორი გოლი გაიტანა ბალმმა. როტერდამის „ფეიენოორდმა“, რომელიც შინ ხვდებოდა დევენტერის „გოუ ეჰედს“, ვერაფერი მოუხერხა სტუმართა დაცვას, მათ 43 წლის მეკარე იონგბლადს და ფრეს დასჯერდა — 1:1, „ეინდჰოვენმა“ შინ დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა „ჰელმონდ სპორტსი“ და ახლა ის არის „ფეიენოორდის“ ძირითადი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

„ფეიენოორდი“	25	70:25	41
„ეინდჰოვენი“	25	67:22	40
„აიაქსი“	25	71:33	37

გდრ

XVIII ტურის სენსაცია იყო ჩემპიონისა და ლიდერის — ბერლინის „დინამოს“ მარცხი შინ, ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსთან“ — 1:2. ბერლინელთა ამ წარუმატებლობით ისარგებლა დრეზდენის „დინამომ“, რომელმაც ასევე საკუთარ მოედანზე დაამარცხა ბერლინის „უნიონი“ (2:0) და სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. წლევანდელ სეზონში მეტად სუსტად ასპარეზობს იენის „კარლ ცაისი“. ამჯერად მან ლაიფციგში გამანადგურებელი ანგარიშით (1:6) წააგო ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. ამ მატჩში თავი გამოიჩინა მასპინძელთა თავდამსხმელმა კიუნმა, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა. ჰალეს „ჰემისა“ და „მაგდებურგის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ბომბარდირთა სიას 16 გოლით ლიდერობს ბერლინის „დინამოს“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ერნსტი. მას საგრძნობლად ჩამორჩებიან შტრაიჰი („მაგდებურგი“), მინგე (დრეზდენის „დინამო“) და პიჩი („ფორვერტსი“) — 10-10 გოლი.

„დინამო“ (დრეზ.)	18	39:16	26
„დინამო“ (ბერ.)	18	45:28	26
„ლოკომოტივი“	18	37:21	24

ბულგარეთი

ოქროს მედლებისთვის ბრძოლა ფაქტობრივად მხოლოდ სოფიის ორ კოლექტივს — „ლევსკი სპარტაკსა“ და ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამეს“ შორის მიმდინარეობს. XIX ტურში ვერცერთმა მათგანმა ვერ მიაღწია წარმატებას, მაგრამ თუ „ლევსკი სპარტაკმა“ ქულის მოპოვება მაინც შეძლო ვარნის „ჩერნო მორესთან“ შეხვედრაში (0:0), არმიელებმა ფრესაც ვერ მიაღწიეს: პლოვდივში დამარცხდნენ ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ — 2:4. უჩვეულო ანგარიშით (6:3) დამთავრდა სოფიის „სლავიასა“ და პლოვდივის „თრაკიას“ მატჩი. „სლავიამ“ მოუგო ვარნის „სპარტაკს“ (1:0) და მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

„ლევსკი სპარტაკი“	19	39:15	30
ცსკა „სეპ. ზნამე“	19	47:17	29
„სლავია“	19	29:24	21
„ბოტევი“ (ვრაცა)	19	20:17	21

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 2ა. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

ИНДЕКС 66435

უე — 07141